*დოკ. №: 2310-682*

*თარიღი: 23.10.2023*

DEMASO WOOD 1

# *მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა*

| *ტერიტორიის მისამართი* | *ს/კ* | *მესაკუთრე* | *ფართობი* |
|---|---|---|---|
| *თბილისი, ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62* | *01.16.05.010.012* | *თორნიკე წილოსანი*<br>*რევაზ ტყემალაძე*<br>*შპს "მარჯინ სქუეარ"* | *708 მ²* |

*შეფასებული მცენარეები:* ***38***

***დოკუმენტის შემადგენლობა***

| | |
|---|---|
| *შესავალი* | *1* |
| *ტერიტორიის აღწერა* | *1* |
| *ჩატარებული სამუშაო* | *1* |
| *რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით* | *1* |
| *მცენარეთა მდგომარეობა* | *2* |
| *გადარგვის შესაძლებლობა* | *2* |
| *დასკვნა* | *3* |
| *დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი* | |
| *დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია* | |


*შემსრულებელი:*

***შპს დემასო ვუდ 1 (400331716)***

*დირექტორი:* ***ემზარ შარია***

*demasowood@gmail.com*

*(+995) 593 18 18 70*




# შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის N62 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.06.2022 №11-58 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

# ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 708 მ².

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5).

# ჩატარებული სამუშაო

2023 წლის 21 ოქტომბერს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვა-გახარების შესაძლებლობა, მოხდა თითოეულის დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

# რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით

აღწერილი 38 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- **11 ინდივიდი (1 ზეხმელი) – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 1 კომში (Cydonia oblonga) N 4
  - 3 აღმოსავლური ხურმა (Diospyros kaki) NN 20, 21, 28
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 26
  - 3 ალუბალი (Prunus cerasus) NN 23, 27, 38 (ზეხმელი)
  - 2 ქლიავი (Prunus domestica) NN 36, 37
  - 1 ვაზი (Vitis vinifera) N 9
- **1 ინდივიდი – ხვიარა სახეობა**
  - 1 გლიცინია (Wisteria) N 3
- **8 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 1 იაპონური აუკუბა (Aucuba japonica) N 10
  - 2 ჭანჭყატი (Euonymus) NN 7, 34
  - 1 კვიდო (Ligustrum) N 25
  - 1 ოლეანდრი (Nerium oleander) N 1
  - 1 ვარდი (Rosa) N 22
  - 2 იასამანი (Syringa) NN 5, 8
- **3 ინდივიდი (2 ფაუტი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**

- 1 მინდვრის ნეკერჩხალი (Acer campestre) N 24
- 2 თუთა (Morus) NN 33 (ფაუტი), 35 (ფაუტი)

- **15 ინდივიდი (1 ზეხმელი) – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 13 ბზა - ხე (Buxus sempervirens) NN 11, 12, 13, 14, 15 (ზეხმელი), 16, 17, 18, 19, 29, 30, 31, 32
  - 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

მათ შორის, **2 ძირი წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**

- 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

# მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 38 მცენარიდან 34 არის ჯანსაღი, ხოლო 4 - ავარიული (2) ან ზეხმელი (2). იხ. ცხრილი 1.

სასიცოცხლო პარამეტრების მიხედვით 2 თუთა NN 33, 35 არიან ფაუტი მცენარეები, რადგან მთავარ ღეროზე აღენიშნებათ ფუღუროები, რაც მათ არამდგრადობაზე მიანიშნებს. ასევე, აღნიშნული მცენარეები მიჩნეულ იქნა ავარიულ ინდივიდებად, რადგან არსებული შენობის კედელთან არიან განთავსებული და მათმა ფესვთა სისტემამ შესაძლოა ნაგებობის დაზიანება გამოიწვიოს, ხოლო ნაგებობის დემონტაჟის შემთხვევაში, შესაძლოა ვერ მოხდეს აღნიშნული მცენარეების მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.

***ცხრილი 1.*** *01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებული არაჯანსაღი და ავარიული მცენარეები.*

| № | ერთ. № | მცენარის დასახელება | დიამეტრი (სმ) მიწიდან: | | სიმაღლე (მ) | აღწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 10 სმ | 1.3 მ | | |
| 1 | 15 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 5.4 | 3.8 | 2.0 | ზეხმელი |
| 2 | 33 | თუთა (Morus) | 37 | 29 | 8.5 | ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან |
| 3 | 35 | თუთა (Morus) | 29 | 22.3 | 8.5 | ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან |
| 4 | 38 | ალუბალი (Prunus cerasus) | 14.3 | | 4.0 | ზეხმელი/ ხილკენკრ. |

# გადარგვის შესაძლებლობა

გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 24 შეფასებული მცენარე: 1-8, 10-14, 16-19, 22, 24-25, 29-32, 34.

მათგან, ყველა მცენარის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ ან ნაკლები

# დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2023 წლის 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის N62 მისამართზე, ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე, 38 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

**1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით.** შეფასებული 38 მერქნიანი მცენარიდან 34 არის ჯანსაღი, 4 - ავარიული (2) ან ზეხმელი (2). მათ შორის:

- 11 ხილკენკროვანი (1 ზეხმელი)
- 1 ხვიარა სახეობათა წარმომადგენელი (ჯანსაღი)
- 8 ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 3 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (2 ფაუტი)
- 15 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)

**2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები.** აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 2 მცენარე, კერძოდ:

- 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

**3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები.** სულ გამოვლინდა 4 არაჯანსაღი (ავარიული ან ზეხმელი) მცენარე, კერძოდ:

- 1 ალუბალი (Prunus cerasus) N 38 (ზეხმელი)
- 2 თუთა (Morus) NN 33 (ავარიული), 35 (ავარიული)
- 1 ბზა - ხე (Buxus sempervirens) N 15 (ზეხმელი)

**4. გადარგვადი მცენარეები.** საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, 24 არახილკენკროვანი მცენარე შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 1-8, 10-14, 16-19, 22, 24-25, 29-32, 34. **მათი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.**

**გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრის კრიტერიუმები იხილეთ თავში "გადარგვის შესაძლებლობა".**

მეტი დეტალისთვის იხილეთ:

- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

*№2310-682 საექსპერტო დასკვნის*

## *დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.16.05.010.012*

| | |
|---|---|
| ***მისამართი:*** | თბილისი, ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62 |
| ***საკადასტრო კოდი:*** | 01.16.05.010.012 |
| ***ფართობი:*** | 708 მ$^2$ |
| ***მესაკუთრე:*** | თორნიკე წილოსანი (ID № 01017037277); რევაზ ტყემალაძე (ID № 01024004230); შპს “მარჯინ სქუეარ” (ID № 404686693) |
| ***შეფასების მეთოდი:*** | ვიზუალური |
| ***შეფასების თარიღი:*** | 21.10.2023 |
| ***შემსრულებელი:*** | ლ. გოშაძე, ე. შარია |

| № | მცენარის დასახელება | დიამეტრი (სმ) მიწიდან: | | სიმაღლე (მ) | აღწერა |
|---|---|---|---|---|---|
| | | 10 სმ | 1.3 მ | | |
| 1 | ოლეანდრი (Nerium oleander) | 8-12 | | 4.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 2 | დაფნა (Laurus nobilis) | 0-4 | | 2.5 | საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი* |
| 3 | გლიცინია (Wisteria) | 12.7 | | | საღი/ გადარგვადი* |
| 4 | კომში (Cydonia oblonga) | 4-8 | | 3.0 | საღი/ ხილკენკრ. |
| 5 | იასამანი (Syringa) | 8-12 | | 3.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 6 | დაფნა (Laurus nobilis) | 4-8 | | 3.0 | საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი* |
| 7 | ჭანჭყატი (Euonymus) | 0-4 | | 2.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 8 | იასამანი (Syringa) | 8-12 | | 3.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 9 | ვაზი (Vitis vinifera) | 4.8 | | | საღი/ ხილკენკრ. |
| 10 | აუკუბა (Aucuba japonica) | 0-4 | | 2.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 11 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 14.3 | 11.1 | 6.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 12 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 8.9 | 6.4 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 13 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 8.6 | 5.7 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 14 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 7.0 | 5.7 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 15 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 5.4 | 3.8 | 2.0 | ზეხმელი |
| 16 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 8.3 | 6.1 | 6.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 17 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 7.6 | 5.7 | 7.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 18 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 20.4 | 12.7 | 7.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 19 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 5.7 | 4.8 | 3.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 20 | ხურმა (Diospyros kaki) | 33 | 27 | 8.5 | საღი/ ხილკენკრ. |
| 21 | ხურმა (Diospyros kaki) | 32 | 27 | 8.5 | საღი/ ხილკენკრ. |
| 22 | ვარდი (Rosa) | 0-4 | | | საღი/ გადარგვადი* |
| 23 | ალუბალი (Prunus cerasus) | 0-4 | | 2.0 | საღი/ ხილკენკრ. |
| 24 | ნეკერჩხალი (Acer campestre) | 0-4 | | 2.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 25 | კვიდო (Ligustrum) | 0-4 | | 3.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 26 | ლეღვი (Ficus carica) | 35 | 17.5 | 7.0 | საღი/ ორკაპი/ ხილკენკრ. |
| 27 | ალუბალი (Prunus cerasus) | 10.5 | 8.6 | 7.0 | საღი/ ხილკენკრ. |
| 28 | ხურმა (Diospyros kaki) | 19.7 | 17.8 | 6.0 | საღი/ ხილკენკრ. |
| 29 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 8.6 | 6.1 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 30 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 10.2 | 8.0 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 31 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 5.7 | 4.5 | 5.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 32 | ბზა - ხე (Buxus sempervirens) | 12.7 | 8.0 | 6.0 | საღი/ გადარგვადი* |
| 33 | თუთა (Morus) | 37 | 29 | 8.5 | ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან |
| 34 | ჭანჭყატი (Euonymus) | 4-8 | | 2.5 | საღი/ გადარგვადი* |
| 35 | თუთა (Morus) | 29 | 22.3 | 8.5 | ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან |
| 36 | ქლიავი (Prunus domestica) | 8.0 | 5.7 | 3.0 | საღი/ ხილკენკრ. |
| 37 | ქლიავი (Prunus domestica) | 14.0 | 11.1 | 1.5 | საღი/ ხილკენკრ./ კუნძი |
| 38 | ალუბალი (Prunus cerasus) | 14.3 | | 4.0 | ზეხმელი/ ხილკენკრ./ კუნძი |

*** გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.**

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ 1*



№1



№2



№3



№4



№5



№6



№7



№8



№9



№10



№11



№12



№13



№14



№15



№16



№17



№18



№19



№20



№21



№22



№23



№24



№25



№26



№27



№28



№29



№30



№31



№32



№33 (1/2)



№33 (2/2)



№34



№35 (1/5)



№35 (2/5)



№35 (3/5)



№35 (4/5)



№35 (5/5)



№36




№37




№38